

შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 10 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 8 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 2 - კომპანიის ზოგად გარემოსდაცვით პოლიტიკას და საქმიანობას. **ჟიურის წევრებს თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმუმ 10 ქულის მინიჭება შეუძლიათ.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 80%		
<i>დაგეგმვა</i>		
1. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება	პროექტი/ინიციატივა მიზნად ისახავს კომპანიის საქმიანობის გარემოზე ზეგავლენის შემცირებას; უკავშირდება მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებს ან/და პასუხობს მიზნობრივი ჯგუფის რეალურ საჭიროებებს, რომელთა გამოვლენა მოხდა თანამონაწილეობითი პროცესის მეშვეობით.	0-10 ქულა
2. მართებული სტრატეგია/გადაწყვეტა	პრობლემის გადასაწყვეტად შეირჩა ეფექტიანი სტრატეგია.	0-10 ქულა
<i>განხორციელება</i>		
3. ყოვლისმომცველი მიდგომა და აქტივობები	განხორციელებულია ეფექტიანი და მრავალფეროვანი აქტივობები; სახეზეა კომპლექსური მიდგომა ინვესტირებული რესურსებისა და გამოყენებული სტრატეგიების თვალსაზრისით, თანმიმდევრული ძალისხმევა.	0-10 ქულა
4. მართვა	პროექტის მართვა გამართული და ეფექტიანია; კომპანია ატარებს საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, ზრუნავს გაუმჯობესებაზე	0-10 ქულა
5. ჩართულობა და კომუნიკაცია	დაინტერესებულ მხარეებთან იმართება კონსულტაციები და ისინი არიან პროცესებში ჩართული; აშკარაა თანამშრომლობა და პარტნიორული მიდგომები. კომპანია ახდენს კომუნიკაციას პროექტის შესახებ.	0-10 ქულა
<i>შედეგები და ზეგავლენა</i>		
6. შედეგები და ზეგავლენა	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი გაზომვადი შედეგები და ზეგავლენა; რეალური ცვლილება მიღწეულია.	0-10 ქულა

7. პროექტის შედეგების მდგრადობა	პროექტის შედეგები მდგრადია და გრძელვადიანად შენარჩუნდება; წარმოდგენილი განაცხადი ნათლად აჩვენებს, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	0-10 ქულა
8. განვითარების პოტენციალი	პროექტს აქვს განვითარებისა და გაფართოების პოტენციალი. კომპანიას კონკრეტული სამომავლო გეგმები აქვს პროექტთან ან სამიზნე პრობლემასთან დაკავშირებით.	0-10 ქულა
ზოგადი სტრატეგია და მისი შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%		
9. ზოგადი გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სტრატეგია	კომპანიას კარგად აქვს ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, გარემოსდაცვითი პოლიტიკა; ამ პოლიტიკის ძირითადი თემები (ფოკუს-სფეროები) განსაზღვრულია და შეესაბამება კომპანიის ძირითად ზეგავლენებს გარემოზე. კომპანია სრულყოფილად ასრულებს გარემოსდაცვითი ნებართვის მოთხოვნებს (თუკი ასეთი ნებართვა აქვს).	0-10 ქულა
10. ზოგადად კომპანიის გარემოსდაცვითი საქმიანობა და შედეგები	კომპანია ახორციელებს გარემოსდაცვით ინიციატივებს და საქმიანობას, რასაც კონკრეტული შედეგები აქვთ; დანერგილი აქვს ეფექტიანი მართვის სისტემები.	0-10 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0-2 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	5-7 ქულა	საკმაოდ კარგი
3-4 ქულა:	საშუალო	8-10 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით

შენიშვნა: შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა. საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.